საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №89/18-1

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 21 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 30 ივლისს მომზადებული №89/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლომ მოპასუხე -- მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოითხოვა მტკიცებულებები, რომლებიც მოპასუხემ თითქმის 1 თვის შემდეგ არასრული სახით წარადგინა, რის გამოც გადაიდო საქმის განხილვა. 2017 წლის 21 დეკემბრის განჩინებით მოპასუხეს დაევალა ლაბორატორიული კვლევისა და დასკვნის წარდგენა, რაც მოპასუხემ 1 თვისა და 10 დღის შემდეგ წარადგინა სასამართლოში. აღნიშნულ დარღვევებზე, -- -- მხარის მოთხოვნის მიუხედავად, კანონით დადგენილი სანქციები არ გამოუყენებია.

ამასთან აღნიშნავს, რომ 2018 წლის 20 თებერვალს, -- -- გამოიტანა განჩინება, რომელშიც აღნიშნა, რომ სხდომაზე მხარემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და გამგეობის წერილის ძალადაკარგულად გამოცხადება მოითხოვა. საჩივრის ავტორის განმარტებით მხარეს მსგავსი სახით სარჩელი არ დაუზუსტებია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად
2017 წლის 02 ივნისს -- რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე თვითმმართველი თემი -- გამგეობის მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 05 ივნისის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

2017 წლის 29 ივნისს -- საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა -- -- და მოითხოვა მტკიცებულებების საქმეზე დართვა.

2017 წლის 18 ივლისს -- საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა -- --. მხარემ მოითხოვა საქმის განხილვის დროულად დაწყება. ამასთან, მიუთითა, რომ სასამართლოს არ უმსჯელია -- მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე წარდგენილ შუამდგომლობაზე.

2017 წლის 23 აგვისტოს -- საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა -- -- და მოითხოვა მტკიცებულებების საქმეზე დართვა.

2017 წლის 21 ნოემბრის -- რაიონულ სასამართლოს საოქმო განჩინებით (მოსამართლე-- --) №3/95-17 ადმინისტრაციულ საქმეზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს, -- მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა მომდევნო სასამართლო სხდომაზე წერილობითი მტკიცებულებების სახით განჩინების მიღების დროისათვის -- რაიონის სოფელ -- არსებული სასმელი წყლის ვარგისიანობის და სისუფთავის შესახებ დოკუმენტების დედნების ან/და დამოწმებული ასლების სახით სასამართლოში წარდგენა.

2017 წლის 30 იანვრის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა თვითმმართველი თემი -- მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 16 მაისის №ბ/575 წერილის ძალადაკარგულად გამოცხადება და მოპასუხე - თვითმმართველი თემი -- მუნიციპალიტეტის გამგეობის (უფლებამონაცვლე - -- მუნიციპალიტეტის მერია) მიერ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნულ სხდომაზე -- მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ -- -- მიერ გასაჩივრებული -- მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2017 წლის 16 მაისს -- მუნიციპალიტეტის სოფ. -- სასმელი წყლის რეაბილიტაციის შესახებ მიღებული №ბ/575 წერილი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, წერილში მითითებულ საკითხებზე არ გამოცემულა და ასევე, არ გამოიცემოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

-- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- სარჩელზე -- მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ შეწყდა №3/95-17 ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ

გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოცემულ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2017 წლის 18 ივლისსა და 19 ოქტომბერს -- რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა -- მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მტკიცებულებათა გამოთხოვა.

2017 წლის 21 ნოემბრის -- რაიონულ სასამართლოს საოქმო განჩინებით (მოსამართლე-- --) №3/95-17 ადმინისტრაციულ საქმეზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს, -- მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა მომდევნო სასამართლო სხდომაზე წერილობითი მტკიცებულებების სახით განჩინების მიღების დროისათვის -- რაიონის სოფელ -- არსებული სასმელი წყლის ვარგისიანობის და სისუფთავის შესახებ დოკუმენტების დედნების ან/და დამოწმებული ასლების სახით სასამართლოში წარდგენა.

2017 წლის 26 დეკემბერს -- მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის -- -- მიერ -- რაიონულ სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის განჩინების შესაბამისად წარდგენილ იქნა -- მუნიციპალიტეტის სოფლების -- და -- სასმელი წყლის მაგისტრალური და შიდა ქსელების რეაბილიტაციის პროექტის ქაღალდის ვერსია.

ამდენად, საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ არ განიხილა მხარის შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან აღნიშნულ შუამდგომლობაზე სასამართლომ 21 ნოემბრის განჩინებაში

იმსჯელა. მნიშვნელოვანია, რომ მოპასუხემ მტკიცებულებები -- რაიონულ სასამართლოში წარადგინა 26 დეკემბერს. ვინაიდან მოსამართლის მიერ რაიმე ვადა მტკიცებულებათა წარსადგენად განსაზღვრული არ ყოფილა, მოპასუხის მხრიდან სასამართლოს დავალების შეუსრულებლობას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 და მე-20 მუხლების დარღვევის ფაქტი არ დასტურდება.

ასევე, საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 20 თებერვალს, -- -- განჩინებაში აღნიშნა, რომ სხდომაზე მხარემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და გამგეობის წერილის ძალადაკარგულად გამოცხადება მოითხოვა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

დადგენილია, რომ -- რაიონულ სასამართლოს -- -- სარჩელით მიმართა 2017 წლის 02 ივნისს და მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება. მოსამზადებელ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა თვითმმართველი თემი -- მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 16 მაისის №ბ/575 წერილის ძალადაკარგულად გამოცხადება და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოპასუხე - თვითმმართველი თემი -- მუნიციპალიტეტის გამგეობის (უფლებამონაცვლე - -- მუნიციპალიტეტის მერია) მიერ. აღნიშნული დასტურდება სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერით (2018 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმი 11:23:57; 11:29:18; 11:30:41).

შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება, რომ მის მიერ არ მომხდარა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება და მოსამართლემ თვითნებურად იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, სიმართლეს არ შეესაბამება. უფრო მეტიც, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოსარჩელემ 2018 წლის 30 იანვრის მოსამზადებელ სხდომაზე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა. ამდენად, ამ კუთხით მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორმა წევრმა მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებასა და ახსმა-განმარტების ჩამორთმევას დაუჭირა მხარი, ხოლო 2 ბიულეტენი ბათილად გამოცხადდა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №89/18-1 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი